

45,000-ზე მეტი ოჯახი საქართველოში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად პირდაპირ სარგებელს მიიღებს

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი სატრანსპორტო ხარჯების შემცირებას და გზების მართვის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს

ვაშინგტონი, 2014 წლის 3 ივლისი - დღეს მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 75 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი დაამტკიცა, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განხორციელებისთვის არის გამოყოფილი. აღნიშნული პროექტი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ორ მიმდინარე პროგრამას და, ასევე, მსოფლიო ბანკის მიერ გზების სექტორში დაფინანსებულ სხვა პროექტებს ეფუძნება.

პროექტის განხორციელების მიზანს სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების ქსელების მართვის მდგრადობის გაუმჯობესება წარმოადგენს. პროექტი სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დანიშნულების გზების რეაბილიტაცია და გაუმჯობესება; შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დანიშნულების გზების მართვის გაუმჯობესება და ამ სფეროში შესაძლებლობების შექმნა; საგზაო უსაფრთხოების საკითხებში ტექნიკური დახმარების გაწევა.

„შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი ადგილობრივი გზების მდგომარეობას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს და აღდგენილი გზებით მოსარგებლე მოქალაქეებისთვის სატრანსპორტო ხარჯებს შეამცირებს. ეს ეკონომიკურ ზრდას და სოფლის უფრო მეტად განვითარებას შეუწყობს ხელს. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტი დროებით სამუშაო ადგილებსაც შექმნის, რაც, დიდ საჭიროებას წარმოადგენს“, განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ. „პროექტის მთავარი ბენეფიციარები ადგილობრივი მაცხოვრებლები, ბიზნესები და გზით მოსარგებლეები არიან, რადგან მათ ბაზარსა და მომსახურებებზე მეტი წვდომა ექნებათ და, ასევე, უფრო უსაფრთხოდ გადაადგილებას შეძლებენ.“

აღნიშნული პროექტის ფარგლებში რეგიონული და ადგილობრივი დანიშნულების 200 კილომეტრი სიგრძის გზის მონაკვეთების რეაბილიტაცია მოხდება. ამის შედეგად სამ ქალაქთან (თელავი, სამტრედია და წალენჯიხა), 126 სოფელთან და დაახლოებით 45,600 ოჯახთან დაკავშირება გამარტივდება, რაც დაახლოებით 138,000 ადამიანს გულისხმობს. ამ სოფლების უმეტესობა ისეთ რეგიონებში მდებარეობს, სადაც გადაადგილება ჭირს და სიღარიბის მაღალი მაჩვენებლებია. აგრეთვე, მოსალოდნელია, რომ პროექტი დაბალშემოსავლიან მოსარგებელთა ტრანსპორტის საჭიროებებს დააკმაყოფილებს და მიზნობრივ რეგიონებში, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე უკეთესი წვდომის მეშვეობით, ადგილობრივ დონეზე განვითარებას შეუწყობს ხელს.

„ადგილობრივი მოსახლეობა ახალი სამუშაო ადგილების შექმნით ისარგებლებს, ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობა კი გაიზრდება. ეს დადებითად იმოქმედებს ყველაზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის კეთილდღეობაზე“, განაცხადა პროექტის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, იოსებ მელითაურმა. „გარდა ამისა, პროექტი ადგილობრივი დანიშნულების გზების მართვის კუთხით არსებულ შესაძლებლობებს გააუმჯობესებს; ამასთან ერთად, პროექტის ფარგლებში ადგილობრივი გზების მიმდინარე ექსპლუატაციისა და მოვლისთვის მიკროსაწარმოების შექმნის და გამოყენების შესაძლებლობა იქნება განხილული. პროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს საგზაო უსაფრთხოების ორგანოების შესაძლებლობების და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გაძლიერებას პროექტით გათვალისწინებულ გზის მონაკვეთებზე“.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი მსოფლიო ბანკის ჯგუფის 2014-2017 წლების საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგიის ძირითად მიმართულებებს შეესაბამება. საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია ორ ძირითად მიმართულებას ეფუძნება: სახელმწიფო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება ყოვლისმომცველი (ინკლუზიური) ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად და გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობის მეშვეობით კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი ზემოთ აღნიშნული ორივე ძირითადი ამოცანის შესრულებას შემდეგი ნაბიჯების გადადგმის მეშვეობით შეუწყობს ხელს: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი დანიშნულების გზების ქვესექტორში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გზების დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტების ეფექტურობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება; ინფრასტრუქტურის შექმნა ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. პროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას გზების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში ადგილობრივი დანიშნულების გზების ექსპლუატაციისთვის გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობაც იქნება განხილული. შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი ადგილობრივ დონეებზე საგზაო კავშირებს და ბაზრებზე წვდომას გააუმჯობესებს, ხოლო მგზავრობისთვის საჭირო დროს და სატრანსპორტო ხარჯებს შეამცირებს.

1992 წლიდან მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების მთლიანი ოდენობა დაახლოებით 2.86 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ, ეწვიოთ:

www.worldbank.org.ge

გვეწვიეთ Facebook-ზე: <https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

საკონტაქტო პირები

ვაშინგტონში:

ელენა კარაბანი

ტელ.: +1 (202) 473-9277

ekaraban@worldbank.org

თბილისში:

ინგა პაიჭაძე

ტელ.: (99532) 291-3096

ipaichadze@worldbank.org